

მიღებულია “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს” 2009 წლის 30 დეკემბრის №2 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 16 აგვისტოს № 258/ო ბრძანებით

ინსულტის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში

#

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

#

ინსულტის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში

შესავალი

საქართველოში აღინიშნება თავის ტვინის ვასკულური დაავადებების ზრდის ტენდენცია. 1999 წლიდან თავის ტვინის ვასკულური დაავადებები 100 000 მოსახლეზე შეადგენდა 222,4-ს, ხოლო 2005 წელს 344,7-ს, ახალი შემთხვევების რაოდენობა კი 84,7-დან 111,3-მდე გაიზარდა¹⁰⁵. ერთადერთი პოპულაციური კვლევის მონაცემების მიხედვით ინსულტით ავადობა თბილისის პოპულაციაში 100 000 მოსახლეობაზე 1 წლის განმავლობაში შეადგენს 233-ს. 1-თვიანი ფატალობის (case-fatality) მაჩვენებელი კი 35%-ს (2)

- მაღალია ინსულტით ავადობის მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთში მოკვდაობის (mortality) ყველაზე გავრცელებულ მიზეზთა შორის ინსულტი მესამე, ხოლო ავსტრალიაში მეორე ადგილზეა. გარდა ამისა, ფუნქციური უუნარობის უმთავრეს და ერთადერთ მიზეზადაც ინსულტი გვევლინება. ინსულტი - პირველ ექვს თვეში პაციენტთა ერთი მესამედის სიკვდილს იწვევს, ხოლო ამდენივეს ტოვებს მუდმივად სხვის დახმარებაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში. ინსულტმა შეიძლება ყველა ასაკში იჩინოს თავი, მათ შორის ბავშვებშიც, თუმცა ინსულტის რისკი მატულობს ასაკთან ერთად, განსაკუთრებით 64 წელს გადაცილებულ პაციენტებში. ინსულტების 75% ამ ასაკზე მოდის.
- მიუხედავად გავრცელების და ინვალდიზაციის ასეთი მაღალი მაჩვენებლებისა, ინსულტი დღემდე კვლავ რჩება გარკვეულად იგნორირებულ დაავადებად. ჩვენი მიზანია ექიმების ინფორმირება მასზედ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინსულტის სწრაფი სწორი დიაგნოზის დასმა და დაავადების სიმწვავის შეფასება პაციენტებში.

„ინსულტი - არის მწვავე სამედიცინო გადაუდებელი მდგომარეობა, რომლის დიაგნოსტიკისა და მართვის მთავარი პრინციპი ეფუძნება კონცეფციას „დრო არის ტვინი და ტვინი არის დრო“. პაციენტებში ინსულტის ადრეულ ეტაპზე ეფექტურ მართვას შეუძლია სიკვდილობის და მორბილობის შემცირება, თუმცა ადრეული მართვა შეუძლებელია დროული დიაგნოსტიკისა და შეფასების გარეშე.“ (GP CPD in association with Royal College of General Practitioners – Just in time BMJ 2007)

ოჯახის/ზოგადი პრაქტიკის ექიმს აქვს უნიკალური კომპეტენცია იმისათვის, რომ ჩაატაროს ინსულტისა და ტრანზიტორული იშემიური შეტევის პირველადი პრევენცია, მოახდინოს ინსულტზე საექიმო შემთხვევების ადრეული შეფასება (და/ან შეფასების კოორდინაცია) და სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ პაციენტის პრობლემების მართვის კოორდინაცია მეორეული პრევენციისა და ხანგრძლივი მხარდაჭერის ჩათვლით.^{2,3}

1. ინსულტის დეფინიცია, ტერმინოლოგია და კლასიფიკაცია

ინსულტი ისეთი პათოლოგიური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ირღვევა ტვინის სისხლით მომარაგება. ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს ტვინის სისხლძარღვის დახშობით (ბლოკირებით), რაც იწვევს ტვინის ინფარქტს, ან სისხლჩაქცევით ტვინში (პირველადი ინტრაცერებრული ჰემორაგია ან სუბარაქნოიდული ჰემორაგია).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით ინსულტი - კლინიკური სინდრომია, რომელიც ხასიათდება სწრაფად განვითარებული ფოკალური ან გლობალური ცერებრული ფუნქციების დაკარგვით გამოწვეული სიმპტომებითა და ნიშნებით, რომელიც გრძელდება 24 საათზე მეტი ხნის განმავლობაში ან იწვევს სიკვდილს დროის აღნიშნულ ინტერვალში.

ტრანზიტორული იშემიური შეტევა კი კლინიკური სინდრომია, რომელიც ხასიათდება ფოკალური ცერებრული ან მხედველობის მონოკულარული ფუნქციის მწვავე დაკარგვით, რომლის სიმპტომებიც გრძელდება არაუმეტეს 24 საათისა (უმეტესად გრძელდება რამდენიმე წუთი და არ იწვევს პერმანენტულ დაზიანებას ან უუნარობას). ტრანზიტორული იშემიური შეტევა სავარაუდოდ, ცერებრული ან ოკულარული სისხლის არაადეკვატური მიწოდების შედეგია, რაც თავის მხრივ არტერიული თრომბოზის ან ემბოლიზმის გამო ვითარდება და, ჩვეულებრივ, ასოცირებულია არტერიულ, კარდიულ ან ჰემატოლოგიურ დაავადებასთან. ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტებს, ანამნეზში ტრანზიტორული იშემიური შეტევით, ნეიროვიზუალური გამოკვლევით (თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია ან მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახვა) აღენიშნებათ ცერებრული ინფარქტი. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არ გამოგვეპაროს აღნიშნული პათოლოგია. სხვა მიზეზი, რის გამოც საჭიროა გარდამავალი იშემიური შეტევის დიაგნოსტიკა, არის ის, რომ პირველი შეტევიდან 90 დღეში პაციენტთა 10%-ს უვითარდება ინსულტი.

განიხილავენ ჰემორაგიულ და იშემიურ ინსულტს.

ჰემორაგიული ინსულტი

ტვინში ან ტვინის გარსებში სისხლჩაქცევის შედეგია. ჰემორაგიული ინსულტი შეიძლება იყოს ინტრაპარენქიმული ან სუბარაქნოიდული.

სუბარაქნოიდული ჰემორაგია

ინსულტი, რომელსაც ჩვეულებრივ იწვევს ანევრიზმიდან სისხლდენა - სისხლდენა ძირითადად ვითარდება ტვინის ირგვლივ არსებულ სუბარაქნოიდულ სივრცეში ან პარაკუქოვან სისტემაში.

იშემიური ინსულტი

ტვინისათვის სისხლის მიწოდების შეწყვეტას ან ბლოკირებას - იშემიურ ინსულტს იწვევს ჰეტეროგენულ მიზეზთა ჯგუფი, რომელიც მოიცავს თრომბოზს, ემბოლიზმსა და ჰიპოპერფუზიას.

ემბოლიური ინსულტი

ემბოლია შეიძლება იყოს კარდიული ან არტერიული წარმოშობის. კარდიალურ ემბოლიზმს მაღალ რისკს განაპირობებს შემდეგი პათოლოგიები: მოციმციმე არითმია, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, სარქველების პროთეზი, გულის სარქველოვანი დაავადება, ენდოკარდიტი, მურალური თრომბი, დილატაციური კარდიომიოპათია, ან შეუხორცებელი ოვალური ხვრელის მეშვეობით ვენური ცირკულაციიდან გადმოსროლილი ემბოლების პასაჟი. არტერიული წარმოშობისაა ათეროთრომბული ან ქოლესტეროლური ემბოლია, რომელიც ვითარდება აორტის რკალსა და ექსტრაკრანიალ (კაროტიდულ, ვერტებრულ) არტერიებში. ემბოლიური ინსულტები უეცრად ვითარდება. ემბოლიური ინსულტის შემთხვევაში ნეიროვიზუალური კვლევებით შესაძლოა გამოვლინდეს გადატანილი ინფარქტები რამდენიმე ვასკულურ არეში, ან კალციფიცირებული ემბოლიები.

თრომბოზული ინსულტი

თრომბოზული ინსულტი მოიცავს მსხვილ-სისხლძარღვოვან და მცირე-სისხლძარღვოვან ანუ ლაკუნურ ინსულტებს. იგი ვითარდება ათეროსკლეროზულ ფოლაქებზე თრომბოზული პროცესით გამოწვეული არტერიული (კაროტიდული, ვერტებრო-ბაზილარული და ცერებრული) ოკლუზიის გამო, ტიპურად ძირითადი ტოტების პროქსიმალურ სეგმენტებში. თრომბოზული პროცესი იწყება ენდოთელიუმის დაზიანების, და თრომბოციტების აქტივაციით, რასაც თან სდევს შემადედებელი კასკადის აქტივაცია, ფიბრინოლიზის ინჰიბიცია და სისხლის სტაზი. თრომბოზული ინსულტის განვითარებისათვის აუცილებელი პროთრომბოზული კასკადის ინიციაციის სავრადო მიზეზად ითვლება ათეროსკლეროზული ფოლაქის გასკდომა. ინტრაკრანიალური ათეროსკლეროზი გავრცობილი, შორს წასული, ათეროსკლეროზის შედეგია. სხვა პაციენტებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკში, თრომბოზული ინსულტების განვითარების მიზეზებს შორის უნდა განხილულ იქნას ჰიპერკოაგულაციური მდგომარეობა, (მაგ.: ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი, „C“ პროტეინისა და „S“ პროტეინის დეფიციტი), ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია, ფიბრო-მუსკულური დისპლაზია, არტერიული განშრევა და ვაზოკონსტრიქცია დაკავშირებული ზოგიერთი სუბსტანციის ბოროტად (წამალთდამოკიდებულების დროს) გამოყენებასთან.

ლაკუნური ინსულტი

ლაკუნური ინსულტი (ლაკუნური ინფარქტი) გულისხმობს 1,5 მმ-მდე ზომის ინფარქტული უბნების განვითარებას. იგი იშემიური ინსულტების 20-25%-ში გვხვდება

და გამოწვეულია მცირე ყალიბის არტერიების დაზიანებით, რომელთა საირიგაციო ზონებს წარმოადგენს ბაზალური განგლიები, შიგნითა კაფსულა და ტვინის ღერო. ლაკუნური ინსულტი ვითარდება შუა ცერებრული არტერიის, ლენტისკულოსტრიული არტერიების, ვილიზის წრის პენეტრირებადი ტოტების, ან ბაზილარული არტერიის შემომხვევი ტოტების ოკლუზიის დროს. ლაკუნური ინფარქტის განვითარების მიზეზები მოიცავს მიკროათერომას, ლიპოჰიალინოზს, ფიბრინოიდულ ნეკროზს ჰიპერტენზიის ან შაქრიანი დიაბეტის გამო, ჰიალინურ ათეროსკლეროზსა და ამილოიდურ ანგიოპათიას. შემთხვევათა უმეტესობა უკავშირდება ჰიპერტენზიას. დაზიანების ზომისა და სუბკორტიკული ლოკალიზაციის გამო ასეთი ინსულტების დროს შესაძლოა გამოვლინდეს წმინდა მოტორული ან სენსორული დეფიციტი.

სასაზღვრო ზონის (watershed, borderzone) ინფარქტი

სასაზღვრო ზონის ინფარქტი შედარებით იშვიათია, ვითარდება შედარებითი ჰიპოპერფუზიის დროს სხვადასხვა სისხლძარღვოვანი აუზების (ტვინის წინა და შუა, შუა და უკანა) დისტალური არტერიების ირიგაციის სასაზღვრო მიდამოში და შესაძლოა წარმოშვას ბილატერული სიმპტომები. ხშირად, იგი ვლინდება ოპერაციის შემდგომ ან გახანგრძლივებული ჰიპოტენზიით მიმდინარე მდგომარეობების შემთხვევაში.

იშემიური ნახევარჩრდილი (Penumbra)

არის ტვინის გადარჩენილი უჯრედები, რომელიც იშემიური ინსულტის განვითარების საწყის ეტაპზე გარს არტყიან ტვინის ინფარქტის (ნეკროზის) ზონას. ნახევარჩრდილის არეში არსებული უჯრედები თუმცა კი იშემიის მდგომარეობაში იმყოფებიან და დაქვეითებული ანდა შეჩერებული მეტაბოლიზმით ხასიათდებიან, მაგრამ აქვთ უნარი ცირკულაციის აღდგენის პირობებში სრულად აღიდგინონ ფუნქცია. იშემიის პროცესის გახანგრძლივების შემთხვევაში საბოლოოდ ხდება ნახევარჩრდილის ზონაში მოხვედრილი ტვინის უჯრედების ნეკროზი.

ინსულტის კლასიფიკაცია ¹⁰⁴

ინსულტის კლასიფიკაცია შეიძლება იყოს:

- პათოლოგიის
- ეტიოლოგიისა და
- კლინიკური სურათის მიხედვით.

პათოლოგიის მიხედვით კლასიფიკაციას, ტრადიციულად გააჩნია ქვეტიპები:

- ცერებრული ინფარქტი
- პირველადი ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა
- სპონტანური სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა

ინტრაცერებრული სისხლჩაქცევების ეტიოლოგიური ფაქტორები:

- არტერიული ჰიპერტენზია
- ცერებრული სისხლძარღვების ათეროსკლეროზი
- ფიბრო-ჰიალინოზი
- ამილოიდოზი
- სისხლის დაავადებები

განსაკუთრებული სახეა სისხლჩაქცევები ტვინის სიმსივნეში.

განვითარებულ ქვეყნებში ცერებრული ინფარქტები ინსულტის ყველა სახის 80-85%-ს შეადგენს, საქართველოში მისი ხვედრითი წილი 65%-ია.

იმემიური ინსულტის ეტიოლოგიური კლასიფიკაცია მოიცავს:

- ათეროსკლეროზულს
- კარდიოემბოლურს
- მცირე სისხლძარღვების დაზიანებით გამოწვეულს (ლაკუნური)
- სხვა პათოლოგიებს (ვასკულიტები, ჰიპერკოაგულაციური მდგომარეობა)
- დაუდგენელ მიზეზთა ჯგუფს.

კლინიკური კლასიფიკაცია

იყოფა ოთხ ქვეჯგუფად (ოქსფორდშირის თემის ინსულტის პროექტის კლასიფიკაცია)¹⁰⁴:

- წინა ცირკულაციის ტოტალური სინდრომი/ ინფარქტი (TACS)
- წინა ცირკულაციის ნაწილობრივი სინდრომი/ ინფარქტი (PACS)
- უკანა ცირკულაციის სინდრომი/ ინფარქტი (POCS)
- ლაკუნური სინდრომი/ ინფარქტი (LACS)

აღნიშნული კლასიფიკაცია ძალიან სასარგებლო და გამოყენებადია, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის ძალიან დეტალური გამოკვლევების ჩატარება. აღნიშნული კლასიფიკაციისადმი მარტივი მიდგომა მდგომარეობს 3 შეკითხვის განხილვაში:

1. არის მხედველობის ველის დეფექტი?
2. არის მაღალი ფუნქციური დეფიციტი: აფაზია/დისფაზია ან ვიზუოსივრცითი იგნორირება
3. არის უნილატერული მოტორული ან სენსორული სიმპტომები?

პირველი და მეორე შეკითხვა ქერქული დაზიანების ნიშნების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

- სამივე ნიშნის არსებობა მიუთითებს წინა ცირკულაციის ტოტალურ სინდრომზე (TACS)

- ერთ-ერთი ნიშნის არსებობა მიუთითებს წინა ცირკულაციის ნაწილობრივ სინდრომზე (PACS)
- ქერქული ნიშნის არ არსებობა მიუთითებს ლაკუნურ სინდრომზე (LACS)

არსებობს აღნიშნული მარტივი წესის რამდენიმე გამონაკლისი. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის დეტალური განხილვა გვამღებს ინსულტის დიფერენცირების საშუალებას აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით.

ინსულტის კლინიკური კლასიფიკაციის დეფინიციები

- **წინა ცირკულაციის ტოტალური სინდრომი (TACS)**

- სახის, მხრის და ფეხის უნილატერული მოტორული დეფიციტი და
- ჰომონიმური ჰემიანოპსია და
- უმაღლესი ცერებრული დისფუნქცია: დისფაზია ან სენსორული უყურადღებობა (იგნორირება)

- **წინა ცირკულაციის ნაწილობრივი სინდრომი (PACS)**

- უნილატერული მოტორული ან სენსორული დეფიციტი ან ორივე და
- იფსილატერული ჰემიანოფსია ან უმაღლესი ცერებრალური დისფუნქცია
- მხოლოდ უმაღლესი ცერებრული დისფუნქცია ან იზოლირებული მოტორული ან სენსორული დეფიციტი, ან ორივე, შეზღუდვით სხეულის ან სახის ერთ ნაწილში

- **უკანა ცირკულაციის სინდრომი (POCS)**

ჩამოთვლილთაგან ერთი ან მეტი:

- ბილატერული მოტორული ან სენსორული ნიშნები არა მეორადად, სუპრატენტორიული დაზიანების მიერ გამოწვეული ტვინის კომპრესიის გამო;
- ნათხემის ნიშნები, თანმხლები იფსილატერალური მოტორული დეფიციტის გარდა;
- დიპლოპია (გაორება) გარეთა სწორი კუნთის დამბლით ან მის გარეშე.

- **ლაკუნური სინდრომი (LACS)**

(ა) „წმინდად“ მოტორული ინსულტი

- მხოლოდ მოტორული ცალმხრივი დეფიციტი;
- 2 ან სამი მიდამოს ჩართვა (სახე, ხელი, ფეხი);
- მთლიანი კიდურის ჩართვით.

(ბ) „წმინდად“ სენსორული ინსულტი

- მხოლოდ სენსორული ცალმხრივი სიმპტომები (+/- ნიშნები);
- 2 ან სამი მიდამოს ჩართვა (სახე, ხელი, ფეხი);
- მთლიანი კიდურის ჩართვით.

(გ) ატაქსიური ჰემიპარეზი

- იფსილატერული ცერებელარული და კორტიკოსპინალური ტრაქტის ნიშნები;
- დიზართრით ან მის გარეშე;
- უმაღლესი ცერებრული დისფუნქციის ან მხედველობის ველის დეფექტის გარეშე.

(დ) სენსორულ-მოტორული ინსულტი

- „წმინდად“ მოტორული და სენსორული ინსულტიების კომბინაცია (ცალმხრივი მოტორული და სენსორული ნიშნები და სიმპტომები);
- უმაღლესი ცერებრალური დისფუნქციის ან მხედველობის ველის დეფექტის გარეშე.

2. ინსულტის ეპიდემიოლოგია

ამერიკაში ინსულტით ყოველწლიურად დაახლოებით 705,000 ადამიანი იღუპება, ამ მონაცემში შედის როგორც ახალი, ისე განმეორებითი შემთხვევები. ინსულტებიდან დაახლოებით 625,000 იშემიურ ინსულტს წარმოადგენს. 2025 წლისათვის ინსულტის რიცხვი 1 მილიონს მიაღწევს. დღესდღეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში 4,4 მილიონ ადამიანზე მეტი ინსულტგადატანილი ცხოვრობს. ამერიკაში ინსულტი მოკვდაობის მიზეზებში მესამე ადგილზე დგას. პაციენტთა დაახლოებით 29% ინსულტის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში იღუპება, ეს პროცენტი მატულობს 65 წელს გადაცილებულ პაციენტებში. ინსულტი ინვალიდობის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს წარმოადგენს; ინსულტით დაავადებულთა 31%-ს ესაჭიროება მუდმივი დახმარება ყოველდღიურ საქმიანობაში, 20%-ს რაღაც ფორმით სჭირდება სიარულში დახმარება და 16%-ს კი უწევთ ხანგრძლივი მკურნალობის სპეციალურ სტაციონარულ ინსტიტუტებში ყოფნა. ინსულტით დაავადებულთა, სულ ცოტა, ერთ მესამედს აღენიშნება დეპრესია, ისევე როგორც მათი მომვლელების უმრავლესობას. უფრო მეტიც, ინსულტთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები (მკურნალობის) და არაპირდაპირი ხარჯები (პროდუქტიულობის დაკარგვის) დაახლოებით 43 მილიარდს შეადგენს წელიწადში. მოსახლეობის დაბერების ტენდენციასთან ერთად, მოსალოდნელია ინსულტთან დაკავშირებული გლობალური ტვირთის შემდგომი გაზრდა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება თავის ტვინის ვასკულური დაავადებების ზრდის ტენდენცია. 1999 წლიდან თავის ცერებროვასკულური დაავადებები 100 000 მოსახლეზე შეადგენდა 222,4-ს, ხოლო 2005 წელს 344,7-ს, ახალი შემთხვევების რაოდენობა კი 84,7-დან 111,3-მდე გაიზარდა. 2005 წლისათვის სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით ჰოსპიტალიზაციამ შეადგინა 28 884 შემთხვევა (ლეტალობა 6,8%).

3. ინსულტის ეტიოპათოგენეზი

თავის ტვინი ადამიანის სხეულის მეტაბოლურად ყველაზე აქტიური ორგანოა. მიუხედავად იმისა, რომ ის სხეულის მასის მხოლოდ 2%-ს შეადგენს, მეტაბოლიზმისათვის აუცილებელი გლუკოზისა და ჟანგბადის უზრუნველსაყოფად მას კარდიული სიმძლავრის 15-20% სჭირდება. ემბოლიზმის, თრომბოზის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სისხლის მიმოქცევის შეფერხება ტვინის ქსოვილის სერიოზულ დაზიანებას იწვევს. სისხლის დინების მაჩვენებლის შემცირება 18 მლ/100მგ/წთ-მდე და მეტად, ჩვეულებრივ, შეუქცევადი დაზიანების მიზეზი ხდება.

არსებობს 100-ზე მეტი პათოლოგია, რის გამოც შესაძლოა ინსულტი განვითარდეს.

იშემიური კასკადი

უჯრედოვან დონეზე ინსულტთან დაკავშირებული დაზიანება განიხილება, როგორც იშემიური კასკადი. ფიქრობენ, რომ მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ხდება უჯრედების კვდომა და დისფუნქცია, რაც ზოგჯერ მყისიერად ვითარდება. იმისათვის, რომ მოხდეს იშემიური კასკადის ინიციაცია, საკმარისია რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე ტვინის ქსოვილს არ მიეწოდოს ჟანგბადი და გლუკოზი. იშემიური კასკადი კომპლექსური პროცესია და უჯრედის ნორმალური ელექტროფიზიოლოგიური ფუნქციის შეწყვეტის ფონზე იწყება. აღნიშნული ნეირონული და გლიური დაზიანება შეშუპებას იწვევს (რამდენიმე საათის ან დღის შემდეგ თან სდევს ინსულტს), რასაც თან ახლავს გარშემომდებარე ქსოვილების შემდგომი დაზიანება.

იშემიური ნახევარჩრდილი (Penumbra)

მწვავე ვასკულური ოკლუზია იმ უბნების იშემიას იწვევს, რომელთა სისხლმომარაგება ამ სისხლმარღვით ხდება. ადეკვატური სისხლმომარაგების გარეშე ტვინის უჯრედების სიკვდილი (ნეკროზი) ინსულტის განვითარებიდან რამოდენიმე წუთში ხდება. დაქვეითებული ან მარგინალური პერფუზიის ზონები იშემიურ „ნახევარჩრდილს“ (Penumbra) სახელითაა ცნობილი. დაზიანებულ ქსოვილებს სიცოცხლისუნარიანობა უნარჩუნდებათ რამდენიმე საათის განმავლობაში. ამჟამად მიმდინარე მარგინალური ქსოვილების პერფუზიის და ფარმაკოლოგიური ინტერვენციული კვლევები სწავლობს არსებული ლოკალიზაციის ნეირონული ქსოვილების შენარჩუნების საკითხებს.^{85,83,102}

ქსოვილოვანი პლაზმინოგენის აქტივატორის (t-PA) გამოყენება მწვავე ინსულტის მქონე პაციენტებში ხელს უწყობს რეკანალიზაციის პროცესს და დაზიანებული უჯრედების გადარჩენას, მანამდე, სანამ იშემიურ ნახევარჩრდილში შეუქცევადი დაზიანებები განვითარდება. სისხლის ნაკადის ხელახალი მიწოდება მხოლოდ მაშინ იძლევა დადებით ეფექტს იშემიაზე, თუკი ეს ძალიან სწრაფად მოხდა. ნეიროპროტექტორული სტრატეგია განაპირობებს აღნიშნულ არეში ქსოვილის დაცვას და რევასკულარიზაციის ტექნიკის გამოყენების თერაპიულ ფანჯარას აფართოებს.^{92,85, 100,96,943}

4. ინსულტის კლინიკური სიმპტომატიკა

4.1. ინსულტის კლინიკური სიმპტომები და ნიშნები

- ინსულტის დიფერენციული დიაგნოსტიკა ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში შეუძლებელია. ამიტომ, ინსულტზე საექიმო შემთხვევებში აუცილებელია ჰოსპიტალში მიმართვის შესაძლებლობების განხილვა და სასწრაფო რეფერალის ორგანიზება.(IV) ⁸⁶
- ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში ინსულტის სავარაუდო დიაგნოზი ემყარება გულ-სისხძრღვთა ავადობის რისკის პროფილის შეფასებას და კლინიკური სიმპტომკომპლექსის ანალიზს.
 - (ა) რისკის პროფილის შეფასებისთვის ანამნეზური მონაცემებიდან მნიშვნელოვანია: ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, თამბაქოს მოხმარება, მაღალი ქოლესტერინი, გულის კორონარული დაავადება და წინაგულების ფიბრილაცია.
 - (ბ) შედარებით ახალგაზრდა პაციენტებში გასათვალისწინებელია ახალი ტრავმის ანამნეზი, კოაგულოპათია, შაკიკი, წამლების (განსაკუთრებით ნარკოტიკების) ან პერორალური კონტრაცეპტივების მოხმარება;
 - (გ) კლინიკური სურათის შეფასებისას გაითვალისწინეთ ინსულტის უხშირესი დამახასიათებელი ნიშნები:
 - მწვავე ჰემიპარეზი ან ჰემიპლეგია;
 - სრული ან ნაწილობრივი ჰემიანოპსია, მონოკულარული ან ბინოკულარული მხედველობის დაკარგვა ან დიპლოპია;
 - დიზართრია ან აფაზია;
 - ატაქსია, სისტემური თავბრუსხვევა ან ნისტაგმი;
 - ცნობიერების უეცარი დაკარგვა
 - (გ) ინსულტის დიაგნოზის დასმისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ:
 - ტრანზიტორული იშემიური შეტევების უმრავლესობა გრძელდება წუთებისა და არა საათების განმავლობაში.
 - იშემიური შეტევების უმრავლესობა იწყება უეცრად.
 - ფოკალური ნევროლოგიური სიმპტომები და/ან ნიშნები ჩვეულებრივი ცერებრული იშემიის შედეგია.
 - პოზიტიურ ნიშნებთან შედარებით უფრო მეტად ნეგატიური სიმპტომები დამახასიათებელია ცერებრული იშემიისათვის.
- ინსულტის მაღალი რისკის პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ინსულტის სავარაუდო სიმპტომების შესახებ. რათა მათი გამოვლენისთანავე მათ დაუყოვნებლივ მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას ან გამოიძახონ სასწრაფო დახმარების ბრიგადა.(IV) ⁸⁶

ეს სიმპტომებია:

- სახისა და კიდურების უეცარი მოდუნება და სისუსტე, განსაკუთრებით სხეულის ერთ მხარეს;
 - უეცარი გაბრუნება, მეტყველებისა და გაგების უეცარი დარღვევა;
 - მხედველობის უეცარი გაუარესება ერთ ან ორივე თვალში;
 - სიარულის უეცარი დარღვევა, გულისრევა, წონასწორობისა და კოორდინაციის დარღვევა;
 - უეცარი, უმიზეზო, მღიერი თავის ტკივილი.
- დეტალურად გამოკითხეთ ოჯახის წევრები და მოწმეები, ვინც შეტევის მომენტში პაციენტთან იმყოფებოდა. მათ შეუძლიათ მოგაწოდონ განსაკუთრებით ღირებული ინფორმაცია ინსულტის დროისა და იმ მოვლენების შესახებ, რომელიც ინსულტის სიმპტომების დადგომას ერთვოდა თან და/ან როცა პაციენტი ბოლოს ნახეს ჯანმრთელი.

4.2. ინსულტის გართულებები

ინსულტის გართულებები შესაძლოა დაიყოს მწვავე გართულებებად, რომლებიც ტიპიურად 72 საათში ვითარდება და მოგვიანებით განვითარებულ გართულებებად.

- მწვავე გართულებებს მიეკუთვნება ტვინის შეშუპება, რომელიც როგორც წესი პიკს აღწევს ინსულტის განვითარებიდან 3-5 დღეში, ინტრაკრანიალური ჰემორაჯიული და სუბარაქნოიდული ჰემორაჯიული ტრანსფორმაცია, ასპირაციული პნევმონია და გულყრები.
- თრომბოლიზური თერაპიის ყველაზე სერიოზული გართულებაა სომატური სისხლდენა და ინტრაცერებრული ჰემორაჯია. რაც, ჩვეულებრივ, მკურნალობის დაწყებიდან პირველ 12 საათში ვითარდება. შესაძლებელია გასტროინტესტინური, გენიტო-ურინული სისხლდენების განვითარება.
- ქვემწვავე გართულებები მოიცავს პნევმონიას, ღრმა ვენების თრომბოზს და ფილტვის ემბოლიას, საშარდე ტრაქტის ინფექციას, ნაწოლებს, წყლულებს, კონტრაქტურებს, სპასტიურობას, სახსრების პრობლემებს, როგორცაა მხარხელის სინდრომი და მალნუტრიციას.
- ინსულტის შემდგომ, გადარჩენის შემთხვევაში, საკმაოდ მაღალია დეპრესიის მაჩვენებელი. დეპრესიის გამოვლენა და მკურნალობა ძალიან მნიშვნელოვანია სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არა მხოლოდ პაციენტებში, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და მომვლელებისათვის.
- ლეტალობის (case-fatality) მაჩვენებელი: ფრემინგჰემისა და როჩესტერის ინსულტის კვლევებში ლეტალობის საერთო მაჩვენებელი 30 დღეში 28%-ს შეადგენს, ხოლო იშემიური ინსულტის შემთხვევაში დაავადების განვითარებიდან 30 დღის განმავლობაში შეადგენდა 10%-ს. 1 წლით გადარჩენის მაჩვენებელი იშემიური ინსულტის შემთხვევაში, ფრემინგჰემის კვლევაში შეადგენდა 77%-ს. ^{101,96,94,89}

- ინვალიდობა: იშემიური ინსულტის დროს, გადარჩენის შემთხვევაში ფრემინჰემის კვლევების მიხედვით, პაციენტების 31%-ს ესაჭიროება დახმარება საკუთარი თავის მოსავლელად, 20%-ს ესაჭიროება სიარულის დროს დახმარება და 71%-ს აქვს ფუნქციური უნარშეზღუდულობა და ესაჭიროება ხანგრძლივი მეთვალყურეობა.^{101,86,85,83}

5. ინსულტის დიაგნოზი

ინსულტის დიფერენციული დიაგნოსტიკა ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში შეუძლებელია.

გავრცელებული მდგომარეობები და ნევროლოგიური სიმპტომებით მიმდინარე კლინიკური დიაგნოზები, რომელმაც შესაძლოა ინსულტის/ტრანზიტორული იშემიური შეტევის იმიტაცია მოგვცეს ან შეცდომით დაისვას აღნიშნული დიაგნოზი შემდეგია:

- სინკოპე
- გულყრები

გულყრები ტიპურად უფრო მეტად მოიცავს ე.წ. „პოზიტიურ ფენომენს“ (კიდურების ხტუნვით მოძრაობებს), ვიდრე ნევროლოგიური ფუნქციების დაკარგვას (კიდურების სისუსტე ან დამბლა), სიმპტომები და ნიშნები გულყრის ან გულყრისშემდგომ მდგომარეობაში არის იშემიური ინსულტის მსგავსი (მაგ.: გაბრუება ან მეტყველების დარღვევა რთული პარციალური გულყრების დროს, გულმყრისშემდგომი გაბრუება, გულყრისშემდგომი დამბლა, სხვა სენსორული და ვიზუალური ფენომენი).

- ტრანზიტორული გლობალური ამნეზია

ხასიათდება მეხსიერების ანტეროგრადული და რეტროგრადული უეცარი დარღვევით სხვა ნევროლოგიური სიმპტომების გარეშე. თუ პაციენტს აღენიშნება ტრანზიტორული გლობალური ამნეზიის სიმპტომები, საჭიროა დიაგნოზი დაისვას სრულყოფილი ნევროლოგიური შეფასების შემდეგ.

- სეფსისი
- სომატიზაცია, როგორც კონვერსიული აშლილობა
- შაკიკი

ხშირად, ტრადიციულ სახელმძღვანელოებში დიფერენციული დიაგნოსტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად თვლიან ჰემიპლეგიურ შაკიკს, მაგრამ რეალურად ეს ძალიან იშვიათია. შაკიკის ნევროლოგიური სიმპტომები უფრო ნელა და თანდათანობით ვითარდება, თუმცა შესაძლოა ამ ორი პრობლემის დიფერენცირება ძალიან გართულდეს. ბევრად უფრო ხშირად გადატანილი ინსულტის ფონზე ზოგიერთმა თანდართულმა დაავადებამ (მაგ. ინფექცია) შეიძლება დაამძიმოს არსებული

ნევროლოგიური დეფიციტი. შესაბამისი მკურნალობის შედეგად პაციენტის მდგომარეობა ჩვეულებრივ სწრაფად უმჯობესდება.

- პერიფერიული ნერვების პათოლოგია

მონონეიროპათია და რადიკულოპათია ხშირად იშემიური ინსულტისაგან განსხვავდება სიმპტომების ანატომიური გავრცელებით და რადიკულოპათიასთან ასოცირებული ტკივილის სიმპტომებით. კრანიალური ნეიროპათიის გამო განვითარებული სახის ნერვის დამბლა, ვესტიბულური ნეირონიტი და ექსტრაოკულური დისბალანსი შესაძლოა იძლეოდეს იშემიური ინსულტის იმიტაციას; იშემიური ინსულტის ზუსტი დიფერენცირების მიზნით საჭიროა ხარისხიანი ანამნეზის შეგროვება და პაციენტის სრულყოფილი ნევროლოგიური შეფასება.

- ინტრაკრანიალური ჰემორაგია სიმსივნეში, აბსცესი

ხშირად დიფერენცირდება კომპიუტერული ტომოგრაფიით, დაავადება თანდათანობით ვითარდება და ინსულტის იმიტაცია არცთუ იშვიათია.

- ნევროზები

შფოთვა და პანიკური დარღვევები შესაძლოა განხილულ იქნას ზოგიერთ შემთხვევაში.

- მეტაბოლური დარღვევები

ყველაზე ხშირად ინსულტის მსგავსი ნევროლოგიური სიმპტომები აღინიშნება ჰიპოგლიკემიის დროს. ამიტომ პაციენტებში დიაბეტიკითა და ღვიძლის პრობლემებით აუცილებელია სისხლში გლუკოზის დონის შეფასება.

6. პაციენტის შეფასებისა და გამოკვლევის გეგმა

6.1. პაციენტის ადრეული შეფასება და მართვა

- 1) ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში ინსულტის სავარაუდო დიაგნოზი ემყარება გულ-სისხმარღვთა ავადობის რისკის პროფილის შეფასებას და კლინიკური სიმპტომკომპლექსის ანალიზს.
- 2) ინსულტის დიფერენციული დიაგნოსტიკა ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში შეუძლებელია. ამიტომ, ინსულტზე საექიმო შემთხვევებში აუცილებელია ჰოსპიტალში მიმართვის შესაძლებლობების განხილვა და სასწრაფო რეფერალის ორგანიზება.^{(IV) ⁸⁶}
- 3) ტრანზიტორულ იშემიურ შეტევაზე ეჭვის მიტანისას, პაციენტს უნდა ჩაუტარდეს სრული შეფასება, რომელიც მოიცავს ინსულტის რისკის შეფასებას **ABCD²** ინსტრუმენტის გამოყენებით პაციენტთან პირველი კონტაქტისთანავე იქნება ეს პირველად თუ მეორეულ დონეზე (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე II³).

- 4) ტრანზიტორულ იშემიურ შეტევაზე ექვის მიტანისას, ყველა პაციენტს რუტინულად უნდა ჩაუტარდეს: სისხლის სრული ანალიზი, განესაზღვროს ელექტროლიტები, თირკმლის ფუნქციები, ქოლესტერინის დონე, გლუკოზის დონე და ჩაუტარდეს ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა (კონსენსუსი).
- 5) პაციენტებს, რომელთაც განესაზღვრათ მაღალი რისკი ($ABCD^2 > 4$), სასწრაფოდ უნდა ჩაუტარდეთ ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია („სასწრაფოდ“ ნიშნავს რაც შეიძლება დროულად, უფრო კონკრეტულად 24 საათში). კაროტიდული დუპლექს სკანირება გადაუდებლად უნდა ჩაუტარდეთ იმ პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ შიგნითა საძილე არტერიის სიმპტომები (მაგ.: amaurosis fugax, დისფაზია), რომლებიც პოტენციურად არიან საძილე არტერიების რე-ვასკულარიზაციის პროცედურის კანდიდატები. პაციენტებს, რომელთაც განესაზღვრათ დაბალი რისკი ($ABCD^2 \leq 4$), უნდა ჩაუტარდეთ ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია და კაროტიდული დუპლექს სკანირება (სადაც ნაჩვენებია) რაც შეიძლება ჩქარა (48-72 საათის განმავლობაში) (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე I^{5,7,8} & დონე III-3⁹).
- 6) ტრანზიტორულ იშემიურ შეტევაზე ექვის მიტანისას, პაციენტს უნდა ჩაუტარდეს სრული შეფასება და მკურნალობა, სიმპტომების გამოვლენიდან 24-48 საათში:
- პაციენტებს, რომელთაც განესაზღვრათ მაღალი რისკი ($ABCD^2 > 4$), სასწრაფოდ უნდა იქნან გადაყვანილი სპეციალიზებულ ინსულტის განყოფილებაში (ან ისეთ ქვედანაყოფში, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სპეციალისტთან რეფერალი 24-48 საათში შესაფასებლად) სწრაფად შეფასებისა და ადექვატური მკურნალობის დაწყების მიზნით (მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე).
 - პაციენტებს, რომელთაც განესაზღვრათ დაბალი რისკი ($ABCD^2 \leq 4$), შესაძლოა, მათი მართვა განხორციელდეს თემში, ოჯახის/ზოგადი პრაქტიკის ან სპეციალისტის მიერ ან სადაც ეს შესაძლებელია გაიგზავნოს პაციენტი ინსულტის კლინიკაში 7-10 დღის განმავლობაში (მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე).

ABCD² ინსტრუმენტი			
A	ასაკი	≥ 60 წ	1 ქულა
B	არტერიული წნევა	სისტოლური ≥ 140 mmHg დიასტოლური ≥ 90 mmHg	1 ქულა
C	კლინიკური ნიშნები	ნებისმიერი ცალმხრივი სისუსტე	2 ქულა
		მეტყველების მოშლა სისუსტის გარეშე	1 ქულა
D	ხანგრძლივობა	≥60 წთ	2 ქულა
		10-59 წთ	1 ქულა
D	დიაბეტი	სახეზეა	1 ქულა
ABCD² ინსტრუმენტის ინტერპრეტაცია⁵: >4 = მაღალი რისკი; ≤4 = დაბალი რისკი (max=7)			

იშემიური ინსულტის დიაგნოზი და საწყისი მკურნალობა - სკრინინგის (ამბულატორიული) ალგორითმი იხილეთ დანართში №2.

6.2. გამოსახვითი კვლევების ჩატარება:

- 1) ინსულტზე ეჭვის მიტანისთანავე, ყველა პაციენტს „ურგენტულად“ („ურგენტულად“ ნიშნავს დაავადების დადგომიდან 24 საათზე ნაკლებ დროს) უნდა ჩაუტარდეს ტვინის გამოსახვითი კვლევები - კომპიუტერული ტომოგრაფია ან მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I⁸).
- 2) ყველა პაციენტს, კაროტიდული მიდამოს სიმპტომებით, რომლებიც არიან საძილე არტერიებზე რე-ვასკულარიზაციის პროცედურის პოტენციური კანდიდატები, „ურგენტულად“ უნდა ჩაუტარდეთ კაროტიდული დუპლექს სკანირება (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე I⁷).
- 3) ტვინის (მაგ.: მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, ანგიოგრაფია), კარდიული (მაგ.: ექოკარდიოგრამა) ან კაროტიდულ-გამოსახვითი შემდგომი კვლევები უნდა ჩატარდეს შერჩეულ შემთხვევებში, რომელიც მოიცავს:
 - პაციენტებს, რომელთაც საწყისი შეფასებით არ დაუდგინდა იშემიის სავარაუდო წყარო;
 - პაციენტები, რომელთაც ანამნეზში აღენიშნებათ ტრანზიტორული იშემიის ერთზე მეტი შემთხვევა;

- პაციენტებს, რომელთაც სავარაუდოდ, ესაჭიროებათ კაროტიდებზე ოპერაციული ჩარევა. (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე I^{7,8} და დონე III-2¹¹).

6.3. სხვა გამოკვლევები:

კლინიკური დიაგნოზის დასმისთანავე, საჭირო ხდება გამოკვლევების ჩატარება იმისათვის, რომ განისაზღვროს ინსულტის პოტენციური მიზეზი. კერძოდ კარდიული თუ არტერიული გენეზისაა ინსულტი.

- 1) ყველა პაციენტს რუტინულად უტარდება შემდეგი გამოკვლევები - სისხლის საერთო ანალიზი, ელექტროკარდიოგრაფია, ელექტროლიტები, თირკმლის ფუნქციები, უზმოდ ლიპიდები, ერითროციტების დალექვის მაჩვენებელი და/ან C-რეაქტიული ცილა და გლუკოზა სისხლში (კონსენსუსის საფუძველზე);
- 2) ზოგიერთ პაციენტთან შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი გამოკვლევები: ანგიოგრაფია, გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევა, სიფილისის სეროლოგია, ვასკულიტზე სკრინინგი (მაგ.: ანტინუკლეალური ანტისხეულები) და პროთრომბოზული მდგომარეობების სკრინინგი (მაგ.: აქტივირებული პარციალური ტრომბოპლასტინის დრო, "C" და "S" პროტეინები, რუტინულ თრომბოციტების რაოდენობასთან ერთად პროთრომბინის დრო). აღნიშნული კვლევები უნდა ჩატარდეს ინსულტის განვითარებიდან რაც შეიძლება სწრაფად, და გარკვეულ პაციენტებში, ზოგჯერ აღნიშნული ტესტების ჩატარება საჭირო ხდება „ურგენტულად“ (კონსენსუსის საფუძველზე).

6.4. ანტითრომბოზული აგენტები

- ასპირინი (150-300 მგ) უნდა მიეცეს პაციენტს რაც შეიძლება მალე, ინსულტის ნიშნების გამოვლენის შემდეგ, თუკი კომპიუტერული ტომოგრაფიით/მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის საფუძველზე გამოირიცხა ჰემორაგია (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I¹²)
- ანტიკოაგულაციური თერაპიის (მაგ.: არაფრაქციული ჰეპარინი) რუტინული გამოყენება იშემიური ინსულტის ან ტრანზიტორული შეტევის დროს, არ არის რეკომენდებული (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I^{13,14}).

7. ინსულტის პირველადი პრევენცია და კარდიო-ვასკულური აბსოლუტური რისკების შეფასება

7.1. გულ-სისხლძარღვთა დაავადების აბსოლუტური რისკის შეფასება

ქრონიკული დაავადებებს შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (გსდ) ავადობისა და სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლების გათვალისწინებით განსაკუთრებით პრობლემურ კატეგორიას წარმოადგენენ. ასიმპტომური პაციენტების ცხოვრების წესისა და სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მათი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის პროფილის განსაზღვრა, რაც პერიოდული სამედიცინო შემოწმების ნაწილს უნდა შეადგენდეს.

რატომ არის მნიშვნელოვანი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის პროფილის განსაზღვრა

რისკ-ფაქტორების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი რისკის მქონე პაციენტებისთვის. რაც მეტია ინდივიდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, მით მაღალია მისთვის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა.

რისკ-ფაქტორების მართვა რისკის შეფასებით იწყება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ტოტალური რისკის შეფასება, რაც ძირითადი რისკ-ფაქტორებით - ასაკით, სქესით, თამბაქოს მოწევით, სისხლის წნევით და ლიპიდების ხარისხით მიღებული ეფექტით გამოწვეულ ჯამურ რისკს გულისხმობს.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შემცირებისთვის, პრევენციული ღონისძიებების მიზანი ტოტალური რისკის შემცირებაა, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით იმას ნიშნავს, რომ თუ არ ხერხდება რომელიმე რისკ-ფაქტორზე ზემოქმედება, შესაძლოა მთლიანი რისკი შემცირდეს დანარჩენ რისკ-ფაქტორებზე ზემოქმედების გაძლიერებით.

ტოტალური რისკის განსაზღვრის მნიშვნელობა ილუსტრირებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ქოლესტერინის მაღალი მაჩვენებელი ქალებში შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენს რისკზე და თუმცა, ეს უპირატესობა ქალებში იკარგება თამბაქოს მოწვევისა და ზომიერი ჰიპერტენზიის კომბინაციის პირობებში.

№1-ცხრილით ნაჩვენებია, რომ 8 მმოლ/ლ ქოლესტერინის პირობებში ინდივიდის სიკვდილობის რისკი, შესაძლოა, 10-ჯერ დაბალი იყოს 5 მმოლ/ლ ქოლესტერინის მქონე მწველი ჰიპერტენზიის მქონე მამაკაცის რისკზე.

რისკ-ფაქტორთა კომბინაციის გავლენა რისკის ხარისხზე

	ასაკი (წელი)	ქოლესტერინი (მმოლ/ლ)	არტერიული წნევა მმ.ვწყ.სვ	თამბაქოს მოწევა	რისკი %
ქალი	60	8	120	არა	2
ქალი	60	7	140	დიახ	5
მამაკაცი	60	6	160	არა	8
მამაკაცი	60	5	180	დიახ	21

ბუნებრივია, რომ პაციენტებში უკვე დიაგნოსტირებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, დიაბეტითა და აშკარად გამოხატული სხვა რისკ-ფაქტორებით ტოტალური რისკი მაღალია და მისი რაოდენობივი განსაზღვრა საჭირო აღარ არის. თუმცა ჯანმრთელი პაციენტებისთვის ტოტალური რისკის შესაფასებლად მიზანშეწონილია “SCORE” სისტემის გამოყენება, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციის ევროპის 2003 წლის გაიდლაინში, “გარეგნულად ჯანმრთელი” პაციენტების შეფასებისთვის იქნა მოწოდებული. ეს საშუალებას იძლევა გამოვლინდეს “რბილად” მზარდი რამოდენიმე რისკ-ფაქტორი, რამაც ჯამში ტოტალური რისკის დონეს არსებითად ზრდის.^{1(III)}

რეკომენდაცია:

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ტოტალური რისკის შეფასება რეკომენდებულია, თუ პაციენტი (C)

- თავად ითხოვს შეფასებას;
- საშუალო ასაკის მწვევლია;
- აღენიშნება სიმსუქნე, განსაკუთრებით აბდომინური;
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ოჯახური ანამნეზი
- აღენიშნება არტერიული წნევის, ლიპიდების ან გლუკოზის დონის მომატება.

7.2. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასების ინსტრუმენტი

ტოტალური რისკის სწრაფი შეფასების ინსტრუმენტი ადაპტირებული ცხრილის სახით შეიქმნა, რომელიც ორიენტირებული იყო ამერიკის მოსახლეობაზე (ფრემინგემის კვლევა). მასზე გაყრდნობით, მოგვიანებით, ევროპის 12 კოჰორტული კვლევის საფუძველზე შემუშავდა “SCORE” (Systematic Coronary Risk Evaluation) სისტემა. ეს სისტემა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად ათეროსკლეროზული დაავადებების ფატალური მოვლენების 10 წლიან რისკის შეფასების საშუალებას იძლევა.^{1(III)}

საშუალო ასაკის ადამიანისთვის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილის 10 წლიანი 5%-იანი ლეტალობის რისკი 2003 წლის გაიდლაინების მიხედვით გულისხმობდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილის არ განვითარების 95%-იან შანსს, რაც ნაკლებად შთამბეჭდავი იყო პაციენტებისათვის. 2007 წლის ევროპული გაიდლაინის მიხედვით კი, გულსისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილის 5%-იანი და მეტი რისკი მომატებულ რისკად ითვლება.ⁱⁱⁱ

“SCORE” სისტემა მოიცავს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ფატალური მოვლენის განსაზღვრას და არა ჯამურად – ფატალურ და არა ფატალურ მოვლენებს. რისკის შეფასების ეს ინსტრუმენტი მარტივია და ამავდროულად ითვალისწინებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მულტიფაქტორულ ბუნებას და მოქნილი მენეჯმენტის საშუალებას იძლევა (მაგალითად, ტოტალური რისკის შემცირება რომელიმე რისკ-ფაქტორის შემცირებით). “SCORE” ასევე ახდენს დროის მანძილზე რისკის ცვლილების და ასაკთან დაკავშირებით რისკის ზრდის ობიექტურ შეფასებას და ქმნის კლინიცისტებისათვის რისკზე მსჯელობის საერთო ფორმატს.

რეკომენდაციები ასიმპტომურ პირებში “SCORE” შეფასების სქემის გამოყენების თაობაზე.

სქემაზე უნდა მოიძებნოს პიროვნების სქესის, თამბაქოს მოწევისა და ასაკის შესაბამისი ცხრილი. მითითებულ ცხრილში შეირჩეს საერთო ქოლესტერინისა და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის და სისხლის წნევის მაჩვენებლებისათვის უახლოესი უჯრედი. აღსანიშნავია, რომ ეს უჯრედი ზევით ინაცვლებს პიროვნების ასაკის მატებისას;

საჭიროა დადგინდეს ფატალური გულ-სისხლძარღვთა დაავადებების აბსოლუტური 10 წლიანი რისკი.

დანართი №1-ში მოცემულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ლეტალობის რისკის შეფასების ორი “SCORE” სქემა (ცხრილი 1,2) ეს სქემები შედგენილია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მაღალი რისკის მქონე მოსახლეობისთვის: ერთ შემთხვევაში, ასაკის, სქესის, თამბაქოს მოწევის, სისხლის სისტოლური წნევის და საერთო ქოლესტერინის საფუძველზე და მეორე შემთხვევაში, იგივე რისკ-ფაქტორებისა, საერთო ქოლესტერინისა და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის პროპორციის საფუძველზე. მესამე სქემა (ცხრილი 3) წარმოადგენს ფარდობითი რისკის შეფასების სქემას, რომელიც მნიშვნელოვანია გარკვეული აბსოლუტური რისკის მქონე ახალგაზრდა ინდივიდებისათვის. სქემა მიუთითებს, რომ დაბალი აბსოლუტური რისკის პირობებშიც კი შესაძლოა ეს რისკი 10-12-ჯერ მაღალი იყოს იგივე ასაკის დაბალი რისკ-ფაქტორების მქონე ინდივიდთან შედარებით.

რეკომენდაციები:

- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასებამდე განუმარტეთ პაციენტს, რომ შედეგი შესაძლოა საჭიროებდეს ცხოვრების წესის შეცვლასა და მედიკამენტურ მკურნალობას. (D)
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების 10-წლიანი ლეტალობის რისკის 5%-ზე ნაკლები მაჩვენებლის შემთხვევაში გაუწიეთ პაციენტს რეკომენდაცია ცხოვრების წესის ცვლილების თაობაზე, რაც მას საშუალებას მისცემთ დიდხანს შეინარჩუნოს დაბალი რისკის მდგომარეობა. (C)
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების 10-წლიანი ლეტალობის რისკის 5%-ის ან მეტი მაჩვენებლის პირობებში დაგეგმეთ მომდევნო ვიზიტი, რასაც ინტენსიური კონსულტირებისა და შესაძლო მკურნალობის რეჟიმის შესათანხმებლად გამოიყენებთ. (C)

8. მეორადი პრევენცია

8.1. ქვევის შეცვლა

ინსულტის პრევენციის სტრატეგიის მტკიცებულებები, რაც დაკავშირებულია ქვევის შეცვლასთან, სრულად შეესაბამება კარდიო-ვასკულური დაავადებების მართვის მიმართულეებს.

1) ყველა პაციენტი ინსულტით უნდა შეფასდეს და ინფორმირებული იყოს განმეორებითი ინსულტის რისკ-ფაქტორების თაობაზე და იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების მოდიფიკაციის შესაძლო სტრატეგიაზე. აღნიშნული რისკ-ფაქტორები და ინტერვენციები მოიცავს:

- თამბაქოს მოხმარების შეწყვეტას: ნიკოტინ ჩანაცვლებითი თერაპია, ბუპროპიონი ან ნორტიპტილით მკურნალობა, ნიკოტინრეცეპტორების პარციალური აგონისტ თერაპია (მაგ.: ვერენიკლინი) და/ან ქვევითი თერაპია (მაგ.: რეფერალი სპეციალურ პროგრამებში); (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I¹⁶⁻²²)
- დიეტის დაცვა - საკვები უნდა იყოს დაბალი ცხიმის (განსაკუთრებით ნაჯერი ცხიმების) და სუფრის მარილის შემცველობით, მაგრამ მდიდარი ხილით და ბოსტნეულით (მინიმუმ 3-5 ულუფა დღეში); (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I²³⁻²⁷ & II²⁸⁻³¹)
- მზარდი რეგულარული ვარჯიშები - (მინიმუმ 30 წუთი 5-ჯერ კვირაში); (მტკიცებულებების ხარისხი C, პირველადი პრევენციის თაობაზე ჩატარებული კოჰორტული კვლევების მეტა ანალიზი გვიჩვენებს ძლიერ კავშირს დაბალ ფიზიკურ აქტივობასა და ინსულტის რისკს შორის³³⁻³⁴⁵)
- ჭარბი ალკოჰოლის მიღებისაგან თავის შეკავება (მაგ.: 2 ან ნაკლები სტანდარტული რაოდენობა დღეში); (მტკიცებულებების ხარისხი C, პირველადი პრევენციის თაობაზე ჩატარებული კოჰორტული კვლევების მეტა ანალიზი

გვიჩვენებს ძლიერ კავშირს ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებასა და ინსულტის რისკს შორის³⁶⁾

- 2) ინტერვენციები უნდა იყოს ინდივიდუალიზებული და გამოყენებულ იქნას ქცევითი ტექნიკა (როგორცაა საგანმანათლებლო ან მოტივაციური კონსულტირება); (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I^{19-22, 36-38)}

8.2. არტერიული წნევის კონტროლი

არტერიული წნევის მცირედით დაქვეითებაც კი (სისტოლური <10 mm Hg, ხოლო დიასტოლური <5mm Hg) ამცირებს ინსულტისა და კარდიოვასკულური შემთხვევების რისკს 20-25%-ით³⁹. არსებობს მაღალი დონის მტკიცებულებები აგფ ინჰიბიტორების ეფექტურობისა დიურეტიკებთან კომბინაციაში ან მათ გარეშე.

- 1) ინსულტით ან ტრანზიტორული იშემიური შეტევით ყველა პაციენტს, იქნება ის ნორმოტენზიური თუ ჰიპერტენზიული, უნდა ჩაუტარდეთ სისხლის წნევის დამწვევი თერაპია, გარდა სიმპტომატური ჰიპოტენზიებისა, რაც უკუნაჩვენებია; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I³⁹⁾
- 2) წნევის დამწვევი თერაპია უნდა დაიწყოს საავადმყოფოშივე გამოწერამდე ან გამოწერის შემდეგ, ინსულტის/ტრანზიტორული იშემიური შეტევის დადგომიდან პირველივე კვირაში; (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე II^{40,41} & III-3⁴²⁾

8.3. ანტიაგრეგანტული თერაპია

ანტიაგრეგანტული თერაპია მნიშვნელოვნად ამცირებს ინსულტით, მიოკარდიუმის ინფარქტით და ვასკულურ სიკვდილობას (17,8% შედარებით 21,4%-თან). ასპირინი რჩება ყველაზე გავრცელებულ პრეპარატად გახანგრძლივებული მოქმედების დიპირიდამოლთან (200 მგ) კომბინაციაში, რომელიც მცირედ უფრო ეფექტურია ვიდრე ასპირინით მონოთერაპია (შედარებითი რისკის შემცირება 18%), თუ კი პაციენტი იტანს ამგვარ კომბინაციას.

- 1) ხანგრძლივი ანტიაგრეგანტული მკურნალობა უნდა ჩაუტარდეს იშემიური ინსულტის ან ტრანზიტორული იშემიური შეტევის მქონე ყველა პაციენტს, თუკი პაციენტი არ იტარებს ანტიკოაგულაციურ თერაპიას; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I⁴³⁾
- 2) დაბალი დოზით ასპირინი და გახანგრძლივებული მოქმედების დიპირიდამოლი უნდა დაენიშნოს იშემიური ინსულტით ან ტრანზიტორული იშემიური შეტევით ყველა პაციენტს, თუკი პაციენტი არ აღენიშნება თანმხლები მწვავე კორონარული დაავადება; (მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე^{44,45)}

- 3) მხოლოდ ასპირინი ან კლოპიდოგრელი შესაძლოა დაენიშნოს იმ პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებათ აუტანლობა ასპირინს პლიუს დიპირიდამოლით თერაპიაზე. მხოლოდ კლოპიდოგრელის დანიშვნა შესაძლებელია მათთვის, ვისაც აქვს ასპირინის დანიშვნის უკუჩვენება ან მედიკამენტზე აუტანლობა; (მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე⁴³)
- 4) ცერებროვასკულური დაავადების მეორადი პრევენციისათვის ასპირინისა და კლოპიდოგრელის კომბინაცია არ არის რეკომენდებული იმ პაციენტებში, რომელთაც არ აღენიშნებათ მწვავე კორონარული დაავადება ან კორონარის ახალი სტენტი; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე II^{46,47})

8.4. ანტიკოაგულაციური მკურნალობა

- 1) ხანგრძლივი მეორადი პრევენციის მიზნით ანტიკოაგულაციური თერაპია უტარდება ინსულტგადატანილ ან ტრანზიტორულ იშემიურ შეტევაგადატანილ პაციენტებს იმ შემთხვევაში, თუკი მათ აღენიშნებათ მოციმციმე არითმია, გულის სარქვლოვანი დაავადებით გამოწვეული კარდიოემბოლური ინსულტი ან მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, რა თქმა უნდა უკუჩვენების არ არსებობის დროს; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I^{48,49})
- 2) მეორადი პრევენციის მიზნით ანტიკოაგულაციური რუტინული თერაპია სავარაუდოდ არტერიული წარმოშობის ინსულტით ან ტრანზიტორული შეტევით პაციენტებში არ არის რეკომენდებული, ვინაიდან არ არსებობს ანტიაგრეგანტულ მკურნალობასთან შედარებით დამატებითი სარგებლის შესახებ მტკიცებულებები; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I⁵⁰)
- 3) ანტიკოაგულაციური მკურნალობის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სტაციონარიდან გაწერამდე; (მტკიცებულებების ხარისხი C, დონე III-3⁴²)
- 4) ანტიკოაგულაციური თერაპიის დაწყება ტრანზიტორული იშემიური შეტევით პაციენტებში რეკომენდებულია მხოლოდ მას შემდეგ როდესაც კომპიუტერული ტომოგრაფიის ან მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის საფუძველზე გამოირიცხება ინტრაკრანიალური ჰემორაგია, როგორც შეტევის მიზეზი; (მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე)

8.5 ქოლესტერინის დონის შემცირება

LDL (დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ-ქოლესტერინის დონის დაწევა 133 მგ/დლ-დან 73 მგ/დლ-მდე (1,9 მმოლ/ლ) იმ პაციენტებში, რომელიც იღებდა 80 მგ ატორვასტატინს დასრულდა ხუთი წლის განმავლობაში ფატალური და არაფატალური ინსულტის აბსოლუტური რისკის 2,2%-ით შემცირებით და სერიოზული კარდიო-ვასკულური გართულებების აბსოლუტური რისკის 3,5%-ით შემცირებით.

- 1) სტატინებით მკურნალობა უნდა დაენიშნოს იშემიური ინსულტით ან ტრანზიტორული იშემიური შეტევით ყველა პაციენტს; (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე II^{51,52})
- 2) პაციენტებმა, რომელთაც აღენიშნებათ ქოლესტეროლის მაღალი დონე უნდა ჩაუტარდეთ სპეციალისტთან ან ტრენირებულ კლინიცისტთან კონსულტირება დიეტასთან დაკავშირებით; (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე I^{37,38})

8.6. დიაბეტის მართვა

მწვავე ინსულტით პაციენტებში საჭიროა გლუკოზის მონიტორინგი. გლუკოზაზე ტოლერანტობის დაქვეითების ან დიაბეტის შემთხვევაში, მართვა უნდა განხორციელდეს დიაბეტის ეროვნული გაიდლაინის შესაბამისად; (მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე⁵³⁻⁵⁶)

8.7. ოპერაცია საძილე არტერიებზე

კაროტიდული ენდარტერექტომია რეკომენდებულია კაროტიდული სიმპტომების არსებობის შემთხვევაში იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ მწვავე სტენოზი, მათ, რომელთა ასაკი >75 წელზე, მამაკაცებს, მწვავე ინსულტის (იშვიათად ტრანზიტორული იშემიის) დროს და იმ პაციენტებს, რომელთაც გაუკეთდათ ოპერაცია ადრე (სასურველია 2 კვირამდე). ^{57,58}

კაროტიდული ენდარტერექტომია უნდა ჩაუტარდეთ კაროტიდული ტერიტორიის მცირე (არადამაინვალიდებელი) იშემიური ინსულტის ან ტრანზიტორული იშემიური შეტევის მქონე პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ იპსილატერული საძილე არტერიის სტენოზი ხარისხით 70-99% მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ოპერაციას აკეთებს ქირურგი, რომლის პერიოპერაციული სიკვდილობა/გართულების მაჩვენებელი დაბალია 5%-ზე; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I ^{57,60})

- 1) კაროტიდული ენდარტერექტომია უნდა ჩაუტარდეთ კაროტიდული ტერიტორიის მცირე (არადამაინვალიდებელი) იშემიური ინსულტების ან ტრანზიტორული იშემიური შეტევის მქონე შერჩეულ (ასაკის, სქესის და თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით) პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ იპსილატერული საძილე არტერიის სტენოზი ხარისხით 50-69% მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ოპერაციას აკეთებს ქირურგი, რომლის პერიოპერაციული სიკვდილობა/გართულების მაჩვენებელი დაბალია 3%-ზე; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I ^{57,60})
- 2) კარგად შერჩეულ პაციენტებს კაროტიდული ენდარტერექტომია უნდა ჩაუტარდეთ დაავადების განვითარებიდან რაც შეიძლება სწრაფად (იდეალურად 2 კვირის განმავლობაში); (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I⁵⁸)

- 3) კაროტიდული ენდარტერექტომია უნდა ჩატარდეს მხოლოდ ისეთ ცენტრებში, სადაც რუტინულად ხდება აღნიშნული ოპერაციების გამოსავლების შეფასება - აუდიტი; (მტკიცებულებების ხარისხი B, დონე I⁶⁰)
- 4) კაროტიდული ენდარტერექტომია არ არის რეკომენდებული იმ სიმპტომატურ პაციენტებში, რომელთა საძილე არტერიების სტენოზის ხარისხი ნაკლებია 50%-ზე ან ასიმპტომატურ პაციენტებში, რომელთა საძილე არტერიების სტენოზის ხარისხი <60-ზე; (მტკიცებულებების ხარისხი A, დონე I^{59,60})
